

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 28

ქ. თბილისი

18.07.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნინო ჩანადირი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრანტი (საბჭოს მდივანი)

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლობჯანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე.;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები :

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი:
თეიმურაზ ქორიძე - რექტორი
თამარ ტუფჩინაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ქეთევან ნანობაშვილი - და ბიზნესის სკოლის დეკანი
ვახტანგ ანთია - პროგრამის ხელმძღვანელი
თინათინ დოლიაშვილი - პროგრამის განმახორციელებელი პირი
ნინო ლიპარტელიანი - პროგრამის განმახორციელებელი პირი
დავით კბილაძე - პროგრამის განმახორციელებელი პირი
დოდო თხელიძე - პროგრამის განმახორციელებელი პირი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
ქეთევან ვაჩიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ხათუნა მანაგაძე - პროგრამის ხელმძღვანელი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

დიანა მჭედლიშვილი
რუსუდან თაყაიშვილი
ანჟელა აბულაძე
ვასილ კიკუტაძე
დავით სიხარულიძე
რუსუდან სეთურიძე
დავით ბურჯანაძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:42 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 11 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავჯდომარის მოადგილემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - მუსიკის მასწავლებელი.
2. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
3. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
4. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარმოდგენილი არ იქნა. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - მუსიკის მასწავლებელი.

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - მუსიკის მასწავლებელი
განათლების საფეხური	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი რუსუდან თაყაიშვილის საბჭოს სხდომაზე ჩაერთო Skype-ის საშუალებით, რადგანაც ის არ იმყოფებოდა საქართველოში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ეჭირა ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ხელოვნების დარგში, ბათუმში. ვიზიტის დროს მოხდა შეხვედრები დაწესებულების წარმომადგენლებთან, მათ შორის პარალელური პროგრამის - ხელოვნების მიმართულებით ასრებული მასწავლებლის მომზადების პროგრამის - წარმომადგენლებთანაც. პროგრამის შესახებ არსებობდა რეკომენდაციები, რომელთა უმეტესობაც გამოსწორებადი ხასიათის იყო. ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი რეკომენდაცია შეეხებოდა პროგრამის სახელწოდებას, სადაც არ იყო დაკონკრეტებული რომელი საფეხურის მუსიკის მასწავლებელზე იყო პროგრამა ორიენტირებული, შესაბამისად რეკომენდაცია იყო აღნიშნული დაკონკრეტებულიყო და გაწერილიყო. მან წაიკითხა მეორე რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსახილველი პროგრამის განვითარებისა და განხორციელების ასახვას. რეკომენდაცია განვითარებისაკენ იყო მიმართული, რადგან როდესაც ექსპერტები გაეცნენ დაწესებულების განვითარების გეგმას, მასში კონკრეტული პროგრამის შესახებ ნათქვამი არაფერი იყო. რეკომენდირებული იყო პროგრამის მიზნები ყოფილიყო ბოლომდე მიღწევადი თუ პროგრამა ორიენტირებული იქნებოდა მუსიკის სწავლების დიდაქტიკის დაუფლებაზე. საგნები უფრო მეტად იყო აღჭურვილი თეორიულად, ვიდრე მეთოდურად, ნაკლები იყო აქცენტი სწავლების მეთოდიკაზე, ამიტომ უმჯობესი იქნებოდა სტუდენტებისათვის უფრო მეტად მიეწოდებინათ სწავლების მეთოდები.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, აღნიშნულის განსახორციელებლად საკმარისი იქნებოდა თუ არა მხოლოდ სილაბუსების შინაარსობრივი გადაწყობა, თუ საჭირო იყო ცვლილებები მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაშიც.

ექსპერტმა უპასუხა, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და აკადემიური პერსონალი დამაკმაყოფილებელი იყო და ამ კუთხით რაიმე პრობლემა არ არსებობდა, საჭირო იყო სილაბუსებში ცვლილებების განხორციელება. შემდეგი რეკომენდაცია შეეხებოდა სასწავლო კურსის - განვითარების ფსიქოლოგია, მიზანი - შინაარსობრივ გასწორებას. დაწესებულების წარმომადგენლებთან საუბრის შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს რომ ადგილი ჰქონდა ტექნიკური ხასიათის შეცდომას, რაც მათი აზრით უკვე გამოსწორებული უნდა ყოფილიყო. რეკომენდირებული იყო პროგრამის და მისი კომპონენტებით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად სწავლის პროცესში შემოქმედებით საინტერესულო საქმიანობაში სტუდენტის ჩართვას და პროცესის შესაბამისი რჩევებით და რეკომენდაციებით მის აღჭურვას. დაწესებულების წარმომადგენლებთან საუბრის დროს წამოიჭრა საკითხი შექმნილიყო კრებსითი საგანი, რომელიც მიმართული იქნებოდა შემოქმედებითი უნარების განვითარებისაკენ, დაახლოებით 8 კრედიტის ფარგლებში.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სავარაუდოდ აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელი გახდებოდა სხვა საგნის კრედიტების შემცირების, ან მსგავსი ღონისძიების ხარჯზე. მან იკითხა, ჰქონდათ თუ არა ექსპერტებს რეკომენდაცია რის ხარჯზე უნდა

განხორციელებულიყო მსგავსი საგნის შექმნა, ან იყო თუ არა რესურსი, რომ ეს მომხდარიყო სხვა საგნების "დაზარალების" გარეშე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ არსებობდა რესურსი საგანი შექმნილიყო სხვა საგნების "დაზარალების" გარეშე და ამაზე საუბარი იყო ვიზიტის დროსაც.

ექსპერტმა განაცხადა, რომ კურსებში - მუსიკის თეორიის კურსი და სწავლების მეთოდთა, ქართული ხალხური შემოქმედების ზოგადი კურსი და სწავლების მეთოდთა-უნდა ჩამოყალიბებულიყო როგორც მუსიკის სწავლების დიდაქტიკა და მომხდარიყო პედაგოგიური მეთოდებით მათი აღჭურვა. რეკომენდირებული იყო სწავლის შედეგების მისაღწევად გამიზნული სწავლის მეთოდები გაწერილიყო ნათლად და სილაბუსებში დაკონკრეტებულიყო რომელ აქტივობებს მოიცავდა სწავლის მეთოდები. სილაბუსებში, მოცემული ეტაპისათვის გაწერილი არ იყო რას მოიაზრებდა სწავლის მეთოდები და რადგანაც ეს იყო სპეციფიკური პროგრამა, საჭირო იყო აღნიშნულის განხორციელება.

ექსპერტმა განაცხადა, რომ რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსს - მუსიკის სწავლების სტანდარტი სკოლაში და სახელმძღვანელოების ანალიზი - დამატებოდა დასკვნის და კომუნიკაციის უნარები, რადგანაც ექსპერტები თვლიდნენ რომ როდესაც საქმე ეხებოდა სახელმძღვანელოების ანალიზს შეუძლებელი იყო სტუდენტს არ ესწავლა დასკვნის და კომუნიკაციის უნარები, რადგან ისინი იყო რელევანტური და საჭირო. ასევე, სამუსიკო პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში საჭირო იყო ღირებულებების დამატება, ხოლო ინკლუზიური განათლების კურსში - კომუნიკაციის უნარები. შემდეგი რეკომენდაცია იყო პედაგოგიური პრაქტიკით გათვალისწინებულ შედეგებში ცოდნა და გაცნობიერების კომპეტენცია კურსის ფარგლებში უნდა აღწერილიყო შეძენილ ცოდნასთან მიმართებით და არ უნდა ყოფილიყო ზოგადი. სილაბუსით გაწერილი კომპეტენცია და უნარები ანალოგიური იყო პროგრამით გაწერილ კომპეტენციებთან, ამიტომაც საჭირო იყო კონცენტრირება მომხდარიყო უშუალოდ კონკრეტული პრაქტიკის ფარგლებში შეძენილ ცოდნაზე.

რეკომენდირებული იყო პედაგოგიური პრაქტიკის კურსში, გაცნობით ნაწილში მოხსენიებული ფრაზა "მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ბავშვებთან" ამოღებული ყოფილიყო სილაბუსიდან რაც ექსპერტთა აზრით, უკვე შესწორებული უნდა ყოფილიყო, რადგან დაწესებულება აღნიშნულს ვიზიტის დროსვე დათანხმდა. ექსპერტმა განაცხადა, რომ საჭირო იყო გასწორებულიყო პროგრამის სწავლის შედეგებში ცოდნა გაცნობიერების კომპონენტის შინაარსი და შესაბამისობაში მოსულიყო მუსიკის მასწავლებლის სტანდარტთან. დაესებულების განმარტების მიხედვით ამ კუთხით ადგილი ჰქონდა ტექნიკური ხასიათის შეცდომას, რაც გასწორდებოდა. ასევე, პროგრამის სწავლის შედეგების ზოგად ნაწილში მოხსენიებული "წარჩინებული მასწავლებელი" შეცვლილიყო "უფროსი მასწავლებლით", რადგანაც აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულს სწორედ ეს უკანასკნელი სტატუსი ენიჭებოდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას უნდა გაეფორმებინა მემორანდუმები სკოლებთან პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების ფარგლებში და უნდა მითითებულიყო სკოლაში პრაქტიკის გასავლელი ადგილების შესაძლო რაოდენობა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მემორანდუმები არსებობდა, თუმცა არ იყო დაკონკრეტებული პრაქტიკის მიზნები და სტუდენტთა რაოდენობა. აღნიშნული რეკომენდაცია განმავითარებელი იყო და ემსახურებოდა პროგრამის მდგრადობის გაძლიერებას. საჭირო იყო შესულიყო ცვლილება პროგრამაზე მისაღები გამოცდის ფორმატში. რადგანაც თეორიული ცოდნა პირს უდასტურდებოდა გამოცდით, საჭირო იყო შემოწმებულიყო პირის შემოქმედებითი უნარები. თემატიკა მოიცავდა, ზოგად, მსხვილ თემებს და სასურველი

იქნებოდა მისი უფრო კონკრეტული სახით ჩამოყალიბება. ასევე, საჭირო იყო ლიტერატურის განახლებაც, რომელიც იყო ძველი, რუსულენოვანი, რაზეც დაწესებულების პოზიცია იყო რომ მათ წიგნების შესყიდვაზე უკვე ჰქონდათ გადაწყვეტილება მიღებული. პროგრამაზე მიღების წინაპირობაში ფრაზა გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული "გამოცდა სამუსიკო ხელოვნებაში" შეცვლილიყო ფრაზით "გამოცდა მუსიკაში".

ექსპერტმა განაცხადა რომ "სამუსიკო პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიისათვის" საჭირო იყო განსაზღვრულიყო კურსზე დაშვების წინაპირობები - შესავალი პედაგოგურ პროფესიაში და განვითარების ფსიქოლოგია. მიზანშეწონილი იყო არსებულიყო განსხვავებული ტიპის კომპონენტები სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისათვის. ყველა სასწავლო კურსში შესაძენი იყო ქულობრივი თანაფარდობა შუალედურ და დაკვნით შეფასებაზე, ასევე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. საჭირო იყო დაწესებულებას გაეთვალისწინებინა და შეემუშავებინა სწავლის შინაარსზე მორგებული შეფასება. მიზანშეწონილი იყო გაძლიერებულიყო მუშაობა ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით და მომხდარიყო სტუდენტების და აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა. საჭირო იყო ზოგიერთი კურსში თანამედროვე ლიტერატურის შეტანა ან რიდერების შექმნა, რაზეც დაწესებულება აცხადებდა რომ მუშაობდა ამ კუთხით.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, რა იყო შესაძენი ლიტერატურის დაახლოებითი ღირებულება.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ეს არ იყო დაკავშირებული განსაკუთრებულად დიდ თანხებთან, სახელმძღვანელოები ვებ გვერდზეც იყო ატვირთული, ამიტომაც აღნიშნულის განხორციელება სრულიად მიღწევადი იყო.

ექსპერტმა განაცხადა, რომ საჭირო იყო დაინტერესებული მხარეების პროგრამის განვითარებაში ჩართულობა. ეს პროცესს გახდიდა უფრო გამჭვირვალეს. რეკომენდაცია გამოწვეული იყო იმით რომ დამსაქმებლებთან და პარალელური პროგრამის სტუდენტთან შეხვედრის შედეგად მათ უპასუხეს რომ არ ახსოვდათ რა რჩევები გაითვალისწინა დაწესებულებამ, რომლებიც მათ გასცეს.

რეკომენდირებული იყო სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად შეფასების სისტემა გამხდარიყო მოქნილი და სასწავლო თემატიკაზე მორგებული. ექსპერტმა ხედავდა იყო რომ არ ყოფილიყო ცენტრალიზებული შეფასების სისტემა და ამ კუთხით პედაგოგები ყოფილიყვნენ მეტად თავისუფლები. ბოლო რეკომენდაცია შეეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავებას. სისტემა დანერგილი იყო, თუმცა გაურკვეველი რჩებოდა ის თუ რა რეაგირება მოჰყვებოდა შეფასებას და როგორ აისახებოდა პროცესზე.

ვინაიდან ყველა რეკომენდაცია შეთანხმებული იყო ექსპერტმა კომისიის წევრებს შორის, ექსპერტს, რუსუდან თაყაიშვილს დამატებითი განცხადება არ ჰქონია.

15:53 საათზე სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ნატო გენგიური.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თავდაპირველად ის უპასუხებდა რეკომენდაციების ბოლო ნაწილს. შეფასების სისტემის შესახებ აღინიშნა, რომ დაწესებულება არ მიიჩნევდა რომ შეფასების სისტემა უნიფიცირებული იყო. არსებობდა სტანდარტი - 60 40-ზე. არსებობდა ბარიერი - 20 ქულა საგამოცდო შეფასებაზე, ხოლო 21 - შუალედურ შეფასებაზე. კურსის შიგნით ლექტორს ჰქონდა თავისუფლება დაეწესებინა შეფასების საკუთარი სისტემა, ამიტომაც უნიფიცირებას ადგილი არ ჰქონდა. არსებობდა შემუშავებული რამოდენიმე

შეფასების სისტემა, რომელთა მორგებასაც პროფესორები ახდენდნენ სურვილისა და შეხედულებისამებრ.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დადებითი იყო აკადემიური თავისუფლების საკითხი, თუმცა იყო ასევე რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ ლექტორს შესაძლოა რთული საკითხი ნაკლები ქულით შეეფასებინა და შედარებით მარტივი - მეტი ქულით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ დაწესებულებამ შეიმუშავა: სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, სწავლების ხარისხის მონიტორინგი, კმაყოფილების კვლევის შეფასება და გამოყენების სფეროები, ლექციების შეფასება, სასწავლო და სამეცნიერო შეფასების წესი. ასევე განახლდა სტრატეგიული განვითარების გეგმა და რეკომენდაციის შესაბამისად, მასში შევიდოდა როგორც მუსიკის მასწავლებლის, ასევე ხელოვნების მასწავლებლის პროგრამების განვითარების გეგმებიც. რეკომენდაციის შესაბამისად დაკონკრეტდა სწავლების საფეხურები, დაემატა საბაზო, დაწყებითი საბაზო და საშუალო საფეხურები. საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე დაწესებულებას ჰქონდა მცდელობა პედაგოგიური საგნების ბლოკის დანერგვისა, რაც სკოლებში სამუშაოდ წასულ კურსდამთავრებულებს ეხმარებოდა შესაბამისი უნარების მიხედვით საქმიანობის განხორციელებაში. ამასთანავე იყო მცდელობა კურსდამთავრებულები დასავლეთ საქართველოდან მივლინებულნი ყოფილიყვნენ სკოლებში, რადგან უმჯობესი იქნებოდა მუსიკა მათ ესწავლებინათ, ნაცვლად დარგის არასპეციალისტებისა, თუმცა ამის განხორციელება გაჭირდა.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, რამ შეუქმნა დაბრკოლება აღნიშნული იდეის განხორციელებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლებს მიუხედავად იმისა რომ საგანს ასწავლიდნენ დარგის არასპეციალისტები, მაინც არ სურდათ მათი ჩანაცვლება, რადგან მათთან აკავშირებდათ ხნგრძლივი თანამშრომლობა. დაწესებულება ეთანხმებოდა ექსპერტებს წინაპირობების საკითხთან დაკავშირებით. შედეგებში დამატებულ იქნა ექსპერტების მიერ რეკომენდირებული კომპეტენციები. თუმცა ზოგადი სურვილი იყო რომ ჩამოყალიბებული ყოფილიყო გარკვეული სტანდარტი კომპეტენციებთან მიმართებაში, არამხოლოდ მოცემულ პროგრამაზე, რაც დაწესებულებისთვის ორიენტირი იქნებოდა. ისინი დაეთანხმნენ ექსპერტებს და ჩანაცვლეს მეთოდის დიდაქტიკით, თუმცა არსებითი სხვაობა ნაკლებად საგრძნობი იყო.

ექსპერტმა განმარტა, რომ აქცენტი იყო არა კურსის სახელზე, არამედ მის შინაარსობრივ მხარეზე, რომელიც მეტად უნდა ყოფილიყო ორიენტირებული სწავლების მეთოდებზე და არა თეორიულ ნაწილზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა მუსიკის ისტორიის კურსზე, სადაც ილუსტრირების საშუალებაზე ხდებოდა ექსპერტების მხრიდან მითითება, განაცხადა, რომ ილუსტრირების გარეშე კურსის წაყვანა ისედაც შეუძლებელი იყო, როდესაც საქმე ეხებოდა მუსიკის ისტორიას. სიცხადისათვის, ყველა თემას დაემატა გაკვეთილების პროცესის განხილვა, აუდიტორიის ჩართულობა მსჯელობის პროცესში, ილუსტრირება და პრეზენტაცია. ასევე შუალედურ და საგამოცდო საკითხებს დაემატა მუსიკალური მასალის გამოცნობის გრაფა, სადაც მითითებული უნდა ყოფილიყო კომპოზიტორი, ეპოქა და აშ. გასწორდა ექსპერტების მიერ ნახსენები ტექნიკური უზუსტობები. პედაგოგიური საგნების ბლოკი გადასული იყო პარალელური პროგრამიდან მოცემულ პროგრამაში და დაწესებულებას არ ჰქონდა გაკვეთებული მისი ანალიზი, რამაც გამოიწვია ტექნიკური საკითხების ირგვლივ გაუგებრობები. ასევე აღინიშნა, რომ კრებსითი საგნის საკითხში ის ვერ

დაეთანხმებოდა ექსპერტებს, რადგან ასეთი საგნის შეტანას შესაძლოა გამოეწვია რომელიმე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საგნის ამოვარდნა პროგრამიდან. ისეთი მეთოდები, როგორიც იყო ილუსტრაცია და სხვა კურსებში ინტეგრირდა, იგივე მოხდებოდა პრაქტიკის კურსში და სილაბუსებში პრაქტიკის ნაწილი მეტად გაშლილად იქნებოდა წარმოდგენილი. მისაღებ გამოცდას დაემატა 10 ქართული ხალხური სიმღერის ცოდნა, რომელიც მოიცავდა ყველა რეგიონსა თუ დიალექტს. რაც შეეხებოდა ზოგად საკითხებს, ეს საკითხები მოცემული სახით განზრახ იყო წარმოდგენილი, რათა დაწესებულებას ჰქონოდა ბაზა, რათა შემდგომ თითოეული საკითხი მეტად დაკონკრეტებულიყო მეთოდურ საგნებში. ლიტერატურა შეიცვალა, პირადად დაწესებულების წარმომადგენელმაც გადასცა დაწესებულებას მის პირად საკუთრებაში არსებული თანამედროვე ლიტერატურა, თუმცა სამწუხაროდ ქართულ ენაზე არ იყო ვოკალური სავარჯიშოები, ამიტომაც ამ ნაწილში ლიტერატურა რუსულენოვანი დარჩა. ასევე აღინიშნა, რომ დაწესებულება პროგრამაზე აიყვანდა იმ ადამიანებს, რომლებიც იქნებოდნენ გამორჩეულნი სკოლის მასწავლებლებს შორის. პროგრამის კურსდამთავრებულები გამოთქვამდნენ სურვილს ამ მიმართულებით გაეგრძელებინათ მოღვაწეობა. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას სკოლებში პრაქტიკისას კონტიგენტის განსაზღვრას, განაცხადა რომ რთული იქნებოდა სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა, რადგან მათ არ იცოდნენ რა რაოდენობის კონტიგენტს გაუშვებდა სკოლა პროგრამაზე.

ექსპერტმა უპასუხა, რომ არსი რეკომენდაციის რადიკალურად განსხვავდებოდა, რადგან აქ საუბარი იყო სკოლაში პრაქტიკაზე გასაგზავნი სტუდენტების კონტიგენტის დაკონკრეტებაზე და არა პროგრამაზე მისაღებ სტუდენტზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაზე მისაღები კონტიგენტი სავარაუდოდ მცირე იქნებოდა, რადგან პედაგოგები ფასიან პროგრამაზე სწავლას ვერ შეძლებდნენ. საჯარო სკოლებთან არსებობდა მემორანდუმები, რადგან როგორც აღინიშნა მცდელობა, რომ სტუდენტებს პრაქტიკა საჯარო სკოლაში გაეწეოთ დაწესებულებას ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ იკითხა, ვინ წარმომადგენდა წარმოდგენილი პროგრამის აპლიკანტთა ძირითად ჯგუფს. რადგან ისინი მუდმივად აპელირებდნენ სკოლის მასწავლებლებზე. პროგრამის სამიზნე ჯგუფი ნაკლებად იყო სკოლის მასწავლებელი, რომელსაც სწავლების უფლება კანონით უკვე მოპოვებული ჰქონდა. პროგრამა უნდა მომსახურებოდა ახალგაზრდა, კვალიფიციური მასწავლებლის გაზრდას, რომელსაც ექნებოდა სწავლებისთვის თანამედროვე ცოდნა და უნარები და სურვილი. შესულიყო მასწავლებლის პროფესიაში. არსებული მასწავლებლებისთვის ამხელა თანხის გაღება სახელმწიფო სახსრების ფუჭად ხარჯვას ნიშნავდა. სასურველი იქნებოდა დაწესებულებას ამ პროგრამის სამიზნე ჯგუფად მოაზრებული ჰყოლოდა არა მასწავლებელი, არამედ მასწავლებლობის მსურველი. სკოლაზე კი აქცენტი უნდა ყოფილიყო როგორც პრაქტიკის ობიექტზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არსებობდა დამატებითი მომენტი, მისთვის რთული გადასაწყვეტი იქნებოდა სკოლაში გაეშვა სტუდენტი პრაქტიკაზე, სადაც რეალურად არაპროფესიონალი ასწავლიდა საგანს.

სხდომის თავმჯდომარემ, იკითხა, რას წარმომადგენდა თანამედროვე მუსიკის მასწავლებელი და რით განსხვავდებოდა ის უკვე არსებულისაგან, იძლეოდა თუ არა პროგრამა იმის საშუალებას, რომ გაეზარდა თანამედროვე მუსიკის მასწავლებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა გამოიღებდა საუკეთესო შედეგს თუ მასზე მივიდოდა სტუდენტი, რომელსაც ექნებოდა საბაკალავრო განათლება მუსიკაში. რეალურად ევროპულ სკოლებში მუსიკის მიმართ არსებობდა განსხვავებული.

სერიოზული დამოკიდებულება, რაც საქართველოში არ შეიმჩნეოდა. თუ სკოლაში გაკვეთილებზე შევიდოდა სწორად განვითარებული მუსიკის მასწავლებელი მოიხსნებოდა ღირებულების პრობლემა. მან აღნიშნა, რომ მომართვიანობა გაზრდილი იყო სამუსიკო სკოლის მასწავლებლებისაგან.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ განაცხადა, რომ საჭირო იყო დაწესებულებას დაეცალა სასწავლო კურსები თეორიისაგან, ანუ საგნობრივი ცოდნის გადაცემისაგან და ორიენტირი აედო მეთოდოლოგიაზე, რადგან 60 კრედიტიანი კურსი არ მოიაზრებდა თეორიული ცოდნის მიცემას სტუდენტისათვის, რომლის არსებობას ის ისედაც ადასტურებდა გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით. სანამ პროგრამაში ჩაიდებოდა ზოგადი მოდულის კურსები, დაწესებულებას მათთვის უნდა გადაეხედა. ხელოვნების 60 კრედიტიანი პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ უამრავი ცლილება განხორციელდა და შესაბამისად შეიცვალა მოთხოვნებიც. კურსებში შეიმჩნეოდა არასტრუქტურირებულობა, მაგალითად “აქტიური სწავლების საფუძვლები”. კურსში შესული იყო ისეთი სტრატეგიები, რომელიც სტუდენტს რეალურად არაფერში სჭირდებოდა. საჭირო იყო აქცენტი ისეთ სტრატეგიებზე, რომელიც მუსიკის მომავალ მასწავლებელს გამოადგებოდა. არსად იყო საუბარი შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. სწავლის შედეგებზე გასვლას თემების უმრავლესობა ვერ უზრუნველყოფდა, მაგალითად სწავლის შედეგში გვიწეროთ, რომ სტუდენტმა იცის კლასის ორგანიზების ფორმები, ხოლო სილაბუსის თემატიკა არ იძლევა ამ სწავლის შედეგზე გასვლას. ამასთანავე უხეში შეცდომა იყო ბლუმის ტაქსონომიის სტრატეგიად მოხსენიება, რომელიც რეალურად მთელ სკოლას წარმოადგენდა. რაც შეეხებოდა ლიტერატურას, ძალიან მოძველებული და მწირია. მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრს უფასოდ შეეძლო გადაეცა დაწესებულებისათვის უახლესი ლიტერატურა. ასევე სასურველი იქნებოდა პრაქტიკის არა ერთად აკუმულირება, არამედ საგნებში ჩაშენებული სახით არსებობა. საბჭოს წევრმა იკითხა, დაეყდნენ თუ არა ისინი მუსიკის მასწავლებლის ახალ სტანდარტს პროგრამის მომზადებისას.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამას აღნიშნული სტანდარტი არ შეეხებია.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ განაცხადა, რომ ყურადღების მიქცევა ესაჭიროებოდა სილაბუსების წერის საკითხსაც, რა სწავლის შედეგებიც იყო პროგრამაში, სილაბუსების სწავლის შედეგებს და თემატიკას უნდა უზრუნველყოფდა ამ სწავლის შედეგების მიღწევა. ხოლო შეფასების სისტემას კი უნდა შეეფასებინა, მიღწეული იყო თუ არა ეს შედეგი. აღნიშნულ პროგრამაში ძალიან ხშირად შეიმჩნეოდა აღნიშნული ხარვეზები.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, რამდენი სტუდენტი მოიაზრებოდა პროგრამაზე და არსებობდა თუ არა მოთხოვნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მოთხოვნა არსებობდა და პროგრამის მიზანი იყო შეცვლილიყვნენ ის მასწავლებლები, რომლებიც რეალურად სკოლებში მუსიკას არ ასწავლიდნენ, განსაკუთრებით რეგიონებში.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, როდესაც ლექტორი ანაწილებდა შეფასებას, ეს არ იყო უბრალოდ ციფრებით თამაში, მას მიაჩნდა რომ ასე სწავლება ჯობდა, თუმცა ექსპერტს შესაძლოა მიეცა განსხვავებული მითითება, რომელსაც თავისმხრივ დაწესებულებაც შესაძლოა დათანხმებოდა. შეეძლო თუ არა რეალურად შეეცვალა სწავლების ტაქტიკა ლექტორს, რამდენად მოსახერხებელი ან მისაღები იქნებოდა ეს მისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სწორედ ამიტომ, მსგავსი გადაწყვეტილების საბოლოო მიღებამდე საჭირო იყო ლექტორებთან შეხვედრა და გასაუბრება.

როცა პროგრამა დაიწყებდა მუშაობას, პრაქტიკის საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა ცვლილებების განხორციელება.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კითხვის არსი იყო, სწავლების მეთოდები, შეიცვლებოდა ის თუ არა მიიყვანდა თუ არა სტუდენტს შედეგამდე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მაგალითისათვის სოლფეჯირებაში მათი მასწავლებელი მუშაობდა იდეალურ შედეგზე, თუმცა შეუძლებელი იქნებოდა იმის თქმა, რომ ეს ადამიანი იმას, თუ როგორ ახერხებდა აღნიშნულს დაწერდა ზუსტად, რადგან პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის რთული იყო ზუსტად აღეწერათ შედეგამდე მისასვლელი გზები.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, რას ფიქრობდა დაწესებულება კრებისთი საგნის შეტანის საკითხზე პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ საგნით განსაზღვრული კომპეტენციების გადანაწილება შესაძლებელი იყო სხვა საგნებზე.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, შეძლებდა თუ არა პროგრამა ფუნქციონირებას წარმატებით თუ ის გასწორდებოდა, და უნდა მომხდარიყო თუ არა გასწორება პროგრამის ამოქმედებამდე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის გასწორება უნდა მომხდარიყო მის ამოქმედებამდე, იმისათვის რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი განხორციელება.

16:44 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა აღდგა 17:16 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 5

რადგანაც პროგრამამ ვერ დააგროვა პირობითი აკრედიტაციისათვის საჭირო ხმების რაოდენობა მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ა მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 27^ბ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

საბჭომ თავისი გადაწყვეტილების დასაბუთებისას აღნიშნა, რომ სტანდარტის 1.2. და 1.3. კომპონენტები არ იყო შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

2. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 02
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებული იყო სასწავლო კურსის „სტრატეგიული მენეჯმენტის“ შინაარსში დაკონკრეტებულიყო რომელი საკითხების შესწავლით შეძლებდა სტუდენტი „მათემატიკური აპარატისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებას კონკრეტული მოდელების შედგენა – რეალიზაციისას“ ან მომხადრიყო აღნიშნული კომპეტენციის მორგება სასწავლო კურსის შინაარსთან;

2. რეკომენდებული იყო საბაკალავრო ნაშრომის (10 კრედიტი) და პრაქტიკის (10 კრედიტი) კომპონენტების სავალდებულოდ შეთავაზება პროგრამის სტუდენტებისათვის და არ განხილულიყო ერთმანეთის ალტერნატივად; ექსპერტმა განაცხადა, რომ საბაკალავრო

- ნაშრომის და პრაქტიკის შეთავაზება ხდებოდა არჩევითი სახით სტუდენტებისათვის და უმჯობესი იყო ისინი აღარ განხილულიყო ერთმანეთის ალტერნატივად.
3. რეკომენდებული იყო სასწავლო კურსში „საინფორმაციო ტექნოლოგიები“ კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ლექციების შემცირების ხარჯზე გაზრდილიყო პრაქტიკული მეცადინეობების მოცულობა;
4. რეკომენდებული იყო დაზუსტებულიყო სასწავლო კურსი „ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები“ როგორ (სწავლების რა მეთოდების გამოყენებით) უნვითარებდა სტუდენტებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს, კერძოდ: ფინანსების დაგეგმვის და მართვის და სწორი ფინანსური გადაწყვეტილების მიღების უნარს;
5. რეკომენდებული იყო პროგრამის სტუდენტებისათვის პირველ სემესტრში არჩევითი დისციპლინის სახით შეთავაზებული ყოფილიყო პრე-კალკულუსი, რომელსაც სტუდენტი აირჩევდა იმის მიხედვით ჰქონდა თუ არა მას ჩაბარებული მათემატიკა ეროვნულ გამოცდებზე, ხოლო სასწავლო კურსის „მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის - 1“ წინაპირობად მისი შინაარსიდან გამომდინარე, განსაზღვრულიყო მიკროეკონომიკის პრინციპები, რაც სტუდენტებს გაუადვილებდა აღნიშნული დისციპლინის შესწავლას;
6. რეკომენდებული იყო „პრაქტიკის“ წინაპირობად განსაზღვრულიყო პროგრამით გათვალისწინებული ის სავალდებულო კომპონენტები, რომლებიც სტუდენტს ათვისებული უნდა ჰქონოდა პრაქტიკის კომპონენტის არჩევის მომენტისათვის;
7. რეკომენდებული იყო გააქტიურებულიყო პროგრამის პოტენციური დამსაქმებლების როლი პროგრამის შემუშავების პროცესში, სრულად ყოფილიყო გამოყენებული მათი რესურსები პროგრამის განვითარებისათვის; ექსპერტმა განაცხადა, რომ დამსაქმებლებთან შეხვედრის შედეგად გამოიკვეთა მათი მზაობა ჩაედოთ რესურსი პროგრამაში, ამიტომაც საჭირო იყო აღნიშნულის მეტად გამოყენება.
8. რეკომენდებული იყო სასწავლო კურსებში არსებული ჩანაწერი - დასწრება/აქტივობა რომელიც ფასდებოდა 5 ქულით, დაკონკრეტებულიყო, ეს დასწრების ქულა იყო თუ აქტივობის;
9. რეკომენდებული იყო, იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი ჩაიჭრებოდა საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე მას განმეორებით დაცვაზე გასვლის უფლება არა მომდევნო წელს, არამედ მომდევნო სემესტრში მისცემოდა;
10. რეკომენდებული იყო პრაქტიკის სილაბუსში მოცემული ცოდნის შეფასების კრიტერიუმების დეტალური რაჩეირება, რათა სტუდენტს ნათლად გაერკვია რა შემთხვევაში იღებდა შეფასების კომპონენტში მოცემულ ქულაზე ნაკლებ ქულას;
11. რეკომენდებული იყო პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული არჩევითი დისციპლინა „კომპიუტერული საინფორმაციო სისტემები ბიზნესისათვის“ გადასულიყო სავალდებულო დისციპლინების მოდულში;
12. რეკომენდებული იყო პროგრამაში ჩართული სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პროფესორებისათვის შეთავაზებული ყოფილიყო ინტერნაციონალიზაციის პროცესებში ჩართვის მეტი შესაძლებლობები;
13. რეკომენდებული იყო კონკრეტულ სილაბუსებში (ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები - 1, 2, საერთაშორისო ბიზნესი, კორპორაციული ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა, ეკონომიკური ფსიქოლოგიის საფუძვლები, ბიზნეს-კომუნიკაციები, ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა - 1, 2, მმართველობითი აღრიცხვა, საგადასახადო საქმე, აუდიტის საფუძვლები, ეკონომიკური ანალიზი) დაკონკრეტებულიყო, როგორც სილაბუსის ავტორი, ასევე მისი

წამკითხველი პერსონალი; ექსპერტმა გააკეთა განმარტება, რომ სილაბუსებში მითითებული იყო კონკრეტული პირები, რომლებიც მეორდებოდნენ ბევრ სილაბუსში.

14. რეკომენდებული იყო დაწესებულებას ხარისხის უზრუნველყოფის "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე", ციკლში მეტი ყურადღება დაეთმო დაწესებულებაში ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარებისათვის;

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2011 წელს და იმ ეტაპისათვის არცერთი ხარვეზი პროგრამასთან მიმართებაში დაფიქსირებული არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის და განაცხადა, რომ რეკომენდაციების ნაწილს დაწესებულება იზიარებდა და გაითვალისწინებდა შემდგომ მუშაობაში. ეს რეკომენდაციები იყო 1, 2, 6, 10 და 11 რეკომენდაციები. დაწესებულება არ ეთანხმებოდა მესამე რეკომენდაციას, რომელიც შეეხებოდა კურსში - „საინფორმაციო ტექნოლოგიები“ ლექციების შემცირების ხარჯზე გაზრდილიყო პრაქტიკული კომპონენტი. სილაბუსის ავტორმა განაცხადა, რომ ის ვერ დაეთანხმებოდა რეკომენდაციას რადგან ლექციას გააჩნდა საკუთარი ფუნქცია, ხოლო პრაქტიკას - საკუთრი, თუმცა აღსანიშნავი იყო რომ ლექცია მიმდინარეობდა ინტერაქტიულად, ჩართულ კომპიუტერებთან, სადაც სტუდენტები მუშაობდნენ, შესაბამისად პრაქტიკული მუშაობა ხდებოდა ინტეგრირებულად.

ექსპერტმა განმარტა რომ საჭიროება მომდინარეობდა იქიდან, რომ მიმართება იყო ორი ერთზე და ეს უნდა შეცვლილიყო, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა და უთხრა რომ ერთი ერთზე იყო მიმართება პრაქტიკასა და ლექციას შორის. ხოლო სახელწოდების შეცვლა, დაერქმეოდა პრაქტიკა თუ ინტერაქციული ლექცია შინაარსობრივად კურსის ხასიათს არ შეცვლიდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ რეალურად მსგავსი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად შესაძლებელი იყო არ დაყოფილიყო ლექცია და პრაქტიკა და დარქმეოდა შეხვედრა.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სილაბუსის მიხედვით საგანი ორიენტირებული იყო მარტივი კომპიუტერული და საოფისე ოპერაციების სწავლებაზე. მან იკითხა, ანალოგიური რომ ესწავლებინათ ვეტერინარებისთვის და არა ბიზნეს ადმინისტრირების სტუდენტებისთვის, შეიცვლებოდა თუ არა რაიმე პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს იყო ზოგადი კურსი და ცვლილება არ მოხდებოდა. მისი აზრით საბჭოს წევრს აინტერესებდა საგანი, რომელიც უშუალოდ ეკონომიკისა და ბიზნესისთვის იყო განკუთვნილი.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი აზრით ზოგადი საგნის შემთხვევაშიც, მოცემული უმარტივესი ფორმით ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლება, სადაც სტუდენტები Word-ის პროგრამას სწავლობდნენ რისი საჭიროებაც თანამედროვეობაში ნაკლებად იდგა, დროის არარაციონალურ გამოყენების საფრთხეს აყენებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კომპიუტერულ მეცნიერებაში საქართველოში ცოდნის პრობლემა რეალურად არსებობდა. ერთი საათი დათმობილი იყო სწორედ იმიტომ, რომ არ მომხდარიყო ზედმეტი დავალებების მიცემა სტუდენტისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, რომელ სემესტრში ისწავლებოდა აღნიშნული საგანი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს იყო პირველი სემესტრის საგანი.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დანაკლისის შევსება შესაძლებელი იყო ცალკე დავალებებით, თუმცა ცალკე საგნის არსებობის საჭიროებას ის ვერ ხედავდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის ვერ დაეთანხმებოდა საბჭოს წევრს, რადგან საგანი სტუდენტებს ამზადებდა სხვა საგნებში პრეზენტაციებისთვისაც, რომლებიც როგორც წესი სემესტრის ბოლოს იყო და ეს ეხებოდა არამხოლოდ ბიზნესის, არამედ სამართლის, ჟურნალისტიკის დარგის სტუდენტებსაც. მან აღნიშნა, რომ მას უნახავს პროფესორები, რომლებიც კონფერენციებზე პრეზენტაციებს ვერ აკეთებდნენ, ამიტომ აღნიშნული საგანი ასე მარტივად არ უნდა შეფასებულიყო.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას ჰქონდა უფლება გამოეხატა საკუთარი პოზიცია, რომელსაც არავინ ახვევდა თავს დაწესებულებას და ანალოგიურს ითხოვდა საბჭოც დაწესებულებისაგან.

დაწესებულების წარმომადგენელმა კომპიუტერული სისტემების შესახებ განაცხადა, რომ საგანი შეტანილ იქნა არჩევით ბლოკში, რადგან საგანზე ისედაც იყო დიდი მითხოვნა, თუმცა შესაძლებელი იყო დათანხმება ექსპერტთან და მისი გადატანა სავალდებულო ბლოკშიც. ეს იყო საკმაოდ ღირებული საგანი და განიხილებოდა დარგთან ერთად. შესაბამისად ეს თუ ეცოდინებოდა სტუდენტს ეს მისთვის პლუსი იქნებოდა. რეკომენდაციაზე - დაზუბტებულიყო კურსში "ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები" სწავლების რა მეთოდებით ხდებოდა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამოყენება, განაცხადა რომ სწავლება ხდებოდა ინტერაქციული მეთოდით, ისწავლებოდა როგორ ჩამოყალიბებულიყო მოდელები, ხდებოდა ჯგუფური მუშაობა, სადაც სტუდენტები ასულებდნენ დავალებებს და კონკრეტული ფინანსური გარემოებების გათვალისწინებით იღებდნენ გადაწყვეტილებებს. სწორედ ჯგუფში მუშაობის მეთოდს გაყვავდა სტუდენტი სწორი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების უნარის გამოყენებამდე. პარალელურ რეჟიმში ხდებოდა ელექტრონული სწავლებაც, ხდებოდა ვიზუალიზაცია ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟის საიტებისა თუ სხვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა წაიკითხა მეხუთე რეკომენდაცია და განაცხადა, რომ საბჭოს პასუხს მოახსენებდა მათემატიკოსი, რომელიც წარმოადგენდა დაწესებულებას.

საბჭოს ჭევრმა, ნათელა სახოკიამ იკითხა, იყო თუ არა მათემატიკა აბიტურიენტებისათვის მეოთხე სავალდებულო საგანი პროგრამაზე მოსახვედრად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მსგავსი შეზღუდვა არ არსებობდა.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, თვლიდა თუ არა დაწესებულება რომ აღნიშნულ პროგრამაზე სწავლისათვის სტუდენტისათვის აუცილებელი იყო მათემატიკის ცოდნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რადგანაც არსებობდა ამის შესაძლებლობა დაწესებულება იყენებდა უფლებას არ დაეწესებინა შეზღუდვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რომელმაც განაცხადა რომ ასწავლიდა მათემატიკას თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში განაცხადა, რომ კურსზე - მათემატიკა ეკონომისტებისათვის და ბიზნესისათვის აბსოლუტურად საკმარისი იყო სკოლაში მიღებული მათემატიკის ცოდნა. იმ მასალისთვის რომელიც გამოიყენებდა კურსზე, იმ სავარჯიშოებისთვის რომლებიც ეძლეოდათ სტუდენტებს საკმარისი იყო ის ცოდნა რასაც ისინი სკოლაში ეუფლებოდნენ. ამასთანავე, თუნდაც მათემატიკა ჩაბარებული არ ჰქონოდა, მას ჩაბარებული ექნებოდა გამოსაშვები გამოცდები და გამოცდები უნარებში, შესაბამისად ის ელემენტარული ცოდნა რაც სტუდენტებს ჰქონდათ საკმარისი იყო ესწავლათ მათემატიკა I. პრეკალკულუსის დამატება სტუდენტს ჩაიყვანდა სკოლის სახელმძღვანელოებამდე. ამასთანავე აღსანიშნი იყო ისიც, რომ მოცემულ პროგრამაზე დაწესებულებამ გაზარდა

მათემატიკის სწავლება კვირაში 3საათამდე. გარდა ამისა შესაძლო იყო მათემატიკაზარეზული კანდიდატი, რომელიც მიიღებდა 15 ქულას არაფრით განსხვავებული არ ყოფილიყო მისგან, ვინც მათემატიკას არ ჩააბერბდა.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, მიჩნდა თუ არა დაწესებულების წარმომადგენელს მათემატიკა ბიზნესის მიმართულების ერთ-ერთ უმთავრეს საგნად და თვლიდა თუ არა, რომ სკოლაში მიღებული ცოდნა საკმარისი იყო უმაღლესში დარგის შესასწავლად. აპელირება იმაზე, რომ 15 ქულიანი სტუდენტი არაფრით იქნებოდა განსხვავებული სტუდენტისაგან, რომელიც მათემატიკას არ ჩააბარებდა, მყარი არგუმენტი ვერ იქნებოდა, რადგან პრობლემის მოხსნა მარტივად შეიძლებოდა მათემატიკაში მაღალი ქულის მოთხოვნით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ როდესაც ისინი ლექციების წაკითხვის დროს ხედავდნენ სტუდენტის დახმარების საჭიროებას, დაწესებულება ამას აკეთებდა საკონკულტაციო ცხრილის დახმარებით.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ კითხვის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ რატომ არ იღებდა დაწესებულება უკვე მათემატიკის მცოდნე კანდიდატებს და რატომ ხარჯავდა დროს მათთვის ამის ხელახლა სწავლებაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მსჯელობა ზღვარის დაწესებაზე მიმდინარეობდა და შესაძლოა ეს განხორციელებულიყო კიდეც. ამასთანავე, პრეკალულუსის შეთავაზებით იმ სტუდენტებს წაართმევდა დაწესებულება დროს, რომლების პროგნოზამაზე მათემატიკის ცოდნით მივიდოდნენ.

ექსპერტმა განმარტა რომ სწორედ ამიტომ, რეკომენდაციაში გარკვევით იყო ჩანაწერი, რომ ეს საგანი უნდა ყოფილიყო არჩევითი, იმ სტუდენტებისათვის ვისაც აღნიშნულის საჭიროება ექნებოდა.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ იკითხა როგორ უყურებდა დაწესებულება საკითხს სასწავლო კურსის „მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის - 1“ წინაპირობად მისი შინაარსიდან გამომდინარე, განსაზღვრულიყო მიკროეკონომიკის პრინციპები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაზე შესულ ახალგაზრდას გარკვეული უნარები მათემატიკაში ექნებოდა, რაც შეეხებოდა მიკროეკონომიკას, ეს სრულიად განსხვავებული საგანი იყო.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ მიმართა ექსპერტს განემარტა აღნიშნული საკითხი.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული საგანი მოიცავდა საკითხებს რომელიც შემხებლობაში იყო მიკროეკონომიკასთან. ეს იყო დაახლოებით 4 თუ 5 საკითხი. სილაბუსს თუ გადავხედავდით აღმოვაჩენდით ეკონომიკურ კონცეფციებს. ამასთანავე, როდესაც მათემატიკის სწავლება ხდებოდა უმაღლეს სასწავლებელში, ხდებოდა ასევე იმის ახსნა სტუდენტებისათვის სად შეიძლებოდა მისი გამოყენება. რადგანაც სასწავლო კურსს ჰქონდა მიზანი რომ მათემატიკური ცოდნიდან ამოეღო ის, რაც გამოსადეგი იქნებოდა ეკონომიკასა და ბიზნესში, საკითხიც სწორედ აქედან გამომდინარე ისმებოდა ექსპერტის მიერ, რომ სტუდენტს უნდა სცოდნოდა რაში გამოიყენებდა ის მათემატიკურ ცოდნას. სხვა შემთხვევაში გამოდიოდა, რომ კურსი არაფრით განსხვავდებოდა მათემატიკისაგან.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიკროეკონომიკა და მათემატიკა I პარალელურად მიმდინარეობდა პირველ სემესტრში.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ იკითხა, თუ ცალკე ისწავლებოდა მათემატიკა და ცალკე ეკონომიკა, იყო თუ არა საჭირო დამატებით მათემატიკის სწავლება ეკონომიკასა და ბიზნესში. აქ საუბარი ეხებოდა ძალების რაციონალიზაციას პროგრამის ოპტიმიზაციის თვალსაზრისით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათემატიკის საგანში იყო გარკვეული კავშირები ამოცანების თვალსაზრისით ეკონომიკასთანაც. ის რაც ბრძანა საბჭოს წევრმა ისწავლებოდა დაწესებულების მიერ.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ სწორედ ამაზე მიუთითებდნენ ექსპერტებიც. ამ კავშირის გამო სტუდენტს ესაჭიროებოდა მინიმალური ეკონომიკური ცოდნაც საგნის გავლის დროს. მეორემხრივ საჭირო იყო გაწერა იმ საკითხებისა, რასაც დაწესებულება ასწავლიდა კურსის ფარგლებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ ლოგიკით მათემატიკის გარეშე არცერთი კონკრეტული დისციპლინა არ არსებობდა და ამიტომ ყველა მათგანი მათემატიკის წინაპირობად უნდა ყოფილიყო გამოცხადებული. მოცემული სილაბუსის ფარგლებში საკითხების ინტერპრეტირებისას მიკროეკონომიკის თემები არ იყო დიდი მოცულობით ჩართული. ეკონომიკა ზოგადად ზოგიერთ სკოლაშიც კი ისწავლებოდა სადაც ძირითადად მათემატიკა განიხილებოდა. ეკონომიკა არ იყო იმ დოზით რომ წინაპირობა საჭირო ყოფილიყო, თუმცა შეიძლებოდა იმ მოსაზრების გაზიარება, რომ მიკროეკონომიკის საკითხები მაქსიმალურად შემცირებულიყო მათემატიკაში.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ ის თვლიდა, რომ თუ სტუდენტს ასწავლიდნენ მაგალითისათვის მათემატიკის გამოყენებას მედიცინაში, მას წინასწარ წარმოადგენა მაინც უნდა ჰქონოდა რას წარმოადგენდა მედიცინა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ რეკომენდაციის თანახმად აღნიშნული სტუდენტებს გაუადვილებდა საგნის დამლევას.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა, რატომ მოხდა მათემატიკის გაერთიანება ეკონომიკასა და ბიზნესთან, რადგან თავისმხრივ ეკონომიკა და ბიზნესი სრულიად სხვადასხვა სფეროებს წარმოადგენდა.

დაწესებულების წარმომადგენელი მას არ დაეთანხმა და იკითხა რა პროფესიის იყო საბჭოს წევრი, რადგან ეკონომიკის გარეშე სტუდენტი ბიზნესს ვერ გაიგებდა. მას ესაჭიროებოდა მიკრო და მაკრო ეკონომიკის ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების ფორმატში. მათემატიკური აპარატი კი განიცდიდა ტრანსფორმაციას დაწესებულების მიერ შეთავაზებული თემატიკის ფარგლებში. მან დაასახელა სახელმძღვანელო, რომელშიც ეკონომიკის და ბიზნესის საფუძვლების ნაწილი ერთმანეთთან იყო დაკავშირებული და მის მიხედვით ხდებოდა ოპერირება.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ უპასუხა, რომ მან იგულისხმა მისი სახელმძღვანელო. მსგავსი კითხვები საბჭოს წინაშე უბრალოდ არასწორი იყო. მისი აზრი იყო რომ დაწესებულება აირიდებდა თავიდან ზედმეტ დაბნეულობას თუ ნაკლებ სახელებს დაარქმევდნენ საგნებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაუდასტურა მას პატივისცემა და დაეთანხმა. მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც დამსაქმებლების როლის გააქტიურებას აღნიშნა, რომ ამ კუთხით მუშაობა აქტიური იყო და შემდგომშიც გაგრძელდებოდა. ისინი მიიღებდნენ ყველა რეკომენდაციას, რომელიც წადგებოდა პროგრამის განვითარებას, რადგან მათ ეს პროცესი თანამშრომლობის პროცესად მიაჩნდათ. მერვე რეკომენდაციის შესახებ, რომელიც შეეხებოდა აქტივობის ქულის საკითხს, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ლექცია, სადაც ინტერაქციული მეთოდით ხდებოდა სწავლება ფასდებოდა აქტივობა, ხოლო იქ სადაც ეს კომპონენტი არ იყო ფასდებოდა მხოლოდ დასწრება. ყოველი კურსის დასაწყისში ლექტორი გააცნობდა სტუდენტებს საკუთარ ხედვას ამასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდუზიანმა განაცხადა, რომ ახალი რეგულაციის შესაბამისად მხოლოდ დასწრების შეფასება დაწესებულებებს უკვე აღარ შეეძლოთ. მან სთხოვა ცენტრის

წარმომადგენელს დაედასტურებინა ეს ინფორმაცია, რაც ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სადოქტორო ნაშრომის წარდგენის შესახებ, სტუდენტის ჩაჭრის შემთხვევაში რეალურად ჩანაწერში “ მომდევნო წელი” იგულისხმებოდა სასწავლო, წელი ამიტომცა სხვაობა ექსპერტის მოსაზრებასთან ამ კუთხით არ იყო. მან წაიკითხა მეცამეტე რეკომენდაცია სილაბუსებში ავტორებისა და განმახორციელებელი პერსონალის დაკონკრეტების შესახებ და განაცხადა, რომ შემდგომში სილაბუსებში მიეთითებოდა განმახორციელებლებიც. რაც შეეხებოდა ინტერნაციონალიზაციის საკითხს, წარმომადგენელმა აღნიშნა რომ მათ უკვე ცენტრშიც გამოაგზავნეს იმ უცხოური უნივერსიტეტების სია, რომლებთანაც გაფორმდა მემორანდუმები და ამ კუთხით მუშაობა კვლავაც გაგრძელდებოდა. გარდა ამისა, იგეგმებოდა გაზრდა უცხოური ენისათვის განკუთვნილი კრედიტებისა.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, რით იყო გამოწვეული სილაბუსებში განმახორციელებლებისა და ავტორების პრობლემა, რადგან რეალურად სხვისი სილაბუსის წაკითხვა არ იყო სასიამოვნო. თუ არსებობდა ადამიანი, რომელიც შინაარსს დაწერდა, მაშინ რატომ იყო სხვის მიერ მისი საგნის წაკითხვის საჭიროება.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო თანაავტორობით განხორციელებულიყო აღნიშნული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულს გაითვალისწინებდნენ.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ მას ჰქონდა გარკვეული რეკომენდაციები პროგრამასთან დაკავშირებით. ერთი შეხედვით, თეორიულ კონტენტს ში სილაბუსები თითქმის კარგი, იყო, თუმცა ნაკლებად იგრძნობოდა ინდივიდუალიზმი და სილაბუსების ინდივიდუალური სული. ზოგიერთ საგანზე მიითითებული იყო ინგლისური ლიტერატურა. რადგანაც ხდებოდა ინგლისური ლიტერატურის გამოყენება, უმჯობესი იქნებოდა გამოყენებულიყო ახალი ლიტერატურა. ამასთანავე არსებობდა კითხვები ზოგიერთ თემასთან დაკავშირებით კერძოდ, რამდენად მართებული იყო მათი სწავლება ბაკალავრის საფეხურზე, მაგალითად სტრატეგიული მენეჯმენტის სწავლება, ან ფინანსების საფუძვლებისა. გაურკვეველი იყო ლოგიკა, რომლის მიხედვითაც ის თემები იყო არჩეული რომლითაც სწავლება ხდებოდა, მაგალითად ბევრი იყო კონცენტრაცია ეკონომიკაზე. სასურველი იქნებოდა PR-ის საგანი შეცვლილიყო კომუნიკაციების მართვით, რადგან პირველი მეტად ვიწრო იყო. ასევე საჭირო იქნებოდა საბანკო საქმის თემატიკის გაფართოვება.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი აზრით, თუ ისევ სილაბუსების ავტორების თემას დაუბრუნდებოდნენ, ორი ავტორის არსებობა იყო ცუდი პრაქტიკა და ეს დაიშვებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც საგანი განსაკუთრებულად დიდ ჯგუფებში იკითხებოდა.

18: 45 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 19:10 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ა მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27^ბ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამას აკრედიტაცია ენიჭებოდა 2 თვიანი მონიტორინგის პირობით, რაც იმას გულისხმობდა, რომ ცენტრს 2 თვის განმავლობაში მონიტორინგის გზით უნდა გადაემოწმებინა საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაწეული რეკომენდაციების გათვალისწინება.

სხდომის თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა, დღის წესრიგით გათვალისწინებული ბოლო საკითხი განხილულიყო მესამე საკითხად, რადგან პროგრამა წარმოადგენდა უკვე განხილული პროგრამის სამაგისტრო საფეხურს.

აღნიშნული ცვლილება საბჭომ ერთხმად დაამტკიცა.

19:15 საათზე სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა სოფიკო ლოპუჯანიძემ.

3.შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 02
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა რომ პროგრამა იყო აკრედიტირებული, ჰყავდა სტუდენტები, რომლებიც შემდგომ საფეხურზეც აგრძელებდნენ სწავლას. მან საბჭოს გააცნო დასკვნაში ასახული რეკომენდაციები:

- რეკომენდებული იყო სამაგისტრო ნაშრომების შესრულების პროცესში გაძლიერებულიყო კვლევის კომპონენტი, კერძოდ მეტი ყურადღება დათმობოდა კვლევის მეთოდების გამოყენებას, რომელიც უზრუნველყოფდა სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ვალიდობას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია შემუშავებულ იქნა ნაშრომების გაცნობის საფუძველზე.

- რეკომენდებული იყო კვლევის პრაქტიკული უნარების გასაძლიერებლად სასწავლო კურსში "კვლევის მეთოდები ბიზნესში" ჩართული ყოფილიყო პროგრამული პაკეტი SPSS ან STATA;

- რეკომენდებული იყო სამაგისტრო ნაშრომის დებულებაში დაკორექტირებულიყო ნაშრომის განმეორებით დაცვაზე დაშვების შესახებ ჩანაწერი სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში

არსებული ანალოგიური ჩანაწერის გათვალისწინებით, კერძოდ საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს უფლება უნდა მისცემოდეს გადაემუშავებინა ნაშრომი და შემდეგ სემესტრში გაეკეთებინა რეგისტრაცია სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე; ექსპერტმა განაცხადა რომ ჩანაწერი, რომელსაც ისინი ითხოვდნენ ფიქსირდებოდა საილაბუსში, თუმცა არა სამაგისტრო ნაშრომის დებულებაში, ამიტომაც ეს ორი დოკუმენტი შესაბამისობაში უნდა მოსულიყო ერთმანეთთან.

- რეკომენდებული იყო პროექტების მენეჯმენტში გამოყენებული ყოფილიყო პროექტების მართვის რომელიმე პროგრამული პაკეტი (მაგალითად, MS Project) და შევსებულიყო მასში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა თუნდაც ინგლისურენოვანი თანამედროვე პროექტების მართვის სახელმძღვანელოთი;

- რეკომენდებული იყო სასწავლო კურსში „ფინანსური ანგარიშგება“ გადრმავებულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) სწავლების საკითხები, რათა უკეთ ყოფილიყო სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგები მიღწეული;

- რეკომენდებული იყო გააქტიურებულიყო პროგრამის პოტენციური დამსაქმებლების როლი პროგრამის შემუშავების პროცესში, სრულად ყოფილიყო გამოყენებული მათი რესურსები პროგრამის განვითარებისათვის;

- რეკომენდებული იყო სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსის „ფინანსური ანალიზი“-ს წინაპირობა მოსულიყო თანხვედრაში ამავე კურსის სილაბუსთან; სილაბუსში არსებული წინაპირობა იყო სწორი და საჭირო იყო ანალოგიური გადასულიყო პროგრამის ჩარჩოშიც.

- რეკომენდებული იყო კონკრეტული სასწავლო კურსების სილაბუსებში (ინოვაციური მენეჯმენტი, მარკეტინგის მენეჯმენტი, ელექტრონული კომერცია, საერთაშორისო მენეჯმენტი) დაკონკრეტებულიყო, როგორც სილაბუსის ავტორი, ასევე მისი წამკითხველი პერსონალი;

- რეკომენდებული იყო პრაქტიკის წინაპირობად განსაზღვრულიყო არა სემესტრების რაოდენობა, არამედ სტუდენტის მიერ სავალდებულო დისციპლინების ათვისებული კრედიტების რაოდენობა.

- რეკომენდებული იყო სასწავლო კურსებში არსებული ჩანაწერი - დასწრება/აქტივობა რომელიც ფასდებოდა 5 ქულით, დაკონკრეტებულიყო, ეს დასწრების ქულა იყო თუ აქტივობის;

- რეკომენდებული იყო სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისას გამოყენებული ყოფილიყო რეფერატები და პროექტები, განსაკუთრებით ისეთ დისციპლინებში როგორიცაა იყო: პროექტების მენეჯმენტი, მარკეტინგის მენეჯმენტი და ა.შ.;

- რეკომენდებული იყო პრაქტიკის სილაბუსში მოცემული ცოდნის შეფასების კრიტერიუმების დეტალური რაწყირება;

- რეკომენდებული იყო პროგრამაში ჩართული სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პროფესორებისათვის შეთავაზებული ყოფილიყო ინტერნაციონალიზაციის პროცესებში ჩართვის მეტი შესაძლებლობები;

- რეკომენდებული იყო სასწავლო კურსებში (მაგ. ფინანსური მენეჯმენტი (2008წ.), საქმიანი კომუნიკაციები (ინგლისურ ენაზე) (2006წ., 2009წ.), პროექტების მენეჯმენტი (2009- 2010წწ.)) ძირითადი ლიტერატურის განახლება;

- რეკომენდებული იყო დაწესებულებას ხარისხის უზრუნველყოფის „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“, ციკლში მეტი ყურადღება დაეთმო დაწესებულებაში ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარებისათვის.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მსგავსად საბაკალავრო პროგრამისა, პროგრამის აკრედიტირება მოხდა 2011 წელს და რეკომენდაციები არც ამ შემთხვევაში ყოფილა დაფიქსირებული.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ იკითხა, რამდენ ნაშრომს გაეცნენ ექსპერტები.

ექსპერტმა უპასუხა, რომ შერჩევის საფუძველზე ისინი გაეცნენ შვიდ-რვა ნაშრომს.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, რამდენი სტუდენტი ჰყავდა ამ წლების მანძილზე პროგრამაზე და ყველამ დაასრულა თუ არა პროგრამა და იყო თუ არა სტატუსის შეჩერების შემთხვევები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა ყველამ დაასრულა, რაც შეეხებოდა სტატუსის შეჩერებას, ეს ხდებოდა ძირითადად ოჯახური პირობების გამო.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ იკითხა, რადგანაც იდგა საკითხი კვლევითი კომპონენტის გაძლიერებასთან დაკავშირებით, გაცნობილი 7-8 ნაშრომიდან რამდენი პასუხობდა ან ვერ პასუხობდა მოთხოვნას.

ექსპერტმა განაცხადა რომ მოთხოვნას პასუხობდა 51 ქულიანი ნაშრომიც და 100-იც. აქ საუბარი იყო იმაზე, რომ თუ დებულებით იქნებოდა მოთხოვნილი კვლევის მეთოდების გამოყენება და ნაშრომის სტრუქტურა, სტუდენტი დაემორჩილებოდა მოთხოვნას და ხარისხი გაუმჯობესდებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, რამდენი მაგისტრანტი ჰყავდა ერთ ხელმძღვანელს.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დებულების მიხედვით ხელმძღვანელს მაქსიმუმ 5 მაგისტრანტი უნდა ჰყოლოდა, ერთ წელს. მან კვლევის კომპონენტის გაძლიერებაზე სამაგისტრო ნაშრომში, განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო სტრუქტურულად გაწერილი არ ყოფილიყო რა მეთოდები გამოიყენებოდა ზოგიერთ ნაშრომში, თუმცა კვლევითი კომპონენტი გათვალისწინებული იყო ყველა ნაშრომში. გათვალისწინებულ იქნა შენიშვნა და დაინერგა ახალი საგანი - კვლევის მეთოდები ბიზნესში, ასევე დაწესებულებას ჰქონდა სილაბუსი სადაც დეტალურად იყო გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი, კვლევის დიზაინი და კვლევის რა მეთოდები უნდა იქნას გამოყენებული. მან ასევე აღნიშნა, რომ მათი სტუდენტების ნაშრომების კონკურენტუნარიანობას განაპირობებდა ნაშრომების ინტერდისციპლინარულობა, რაც დაწესებულების პრიორიტეტსაც წარმოადგენდა. მაგალითისათვის კვლევის მეთოდებში გათვალისწინებული იყო ეკონომიკური ფსიქოანალიზი. არსებობდა ახალი ინიციატივა - კვლევის მეთოდების პრაქტიკაში იმპლემენტაციის გზით, ავტოქთონური ფინანსების ბაზაზე განხორციელებულიყო "აწარმოე საქართველოში"-ის ანალოგი დაწესებულების ბაზაზე. ეს საშუალებას მისცემდა სტუდენტებს დაფინანსებულიყო სიცოცხლისუნარიანი ბიზნეს პროექტები. პროექტებში გამარჯვების წინაპირობა კი იქნებოდა სამაგისტრო ნაშრომებთან და ზოგადად კვლევით კომპონენტთან მიმართებაში მაგისტრების აქტიურობა. ასევე დაწესებულებას გადაწყვეტილი ჰქონდა გამოეყო სახსრები ემპირიულ ცდებში სტუდენტების ჩართვისათვის, ისევ კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით. რაც შეეხებოდა SPSS პროგრამას და STATA-ს საკითხები საგანში - კვლევის მეთოდები ბიზნესში - გათვალისწინებული იქნებოდა. იმდენად რამდენადაც ღირებულად მიაჩნდათ ექსპერტთა რეკომენდაცია, დაწესებულება აპირებდა გაეზიარებინა სხვა დაწესებულებების გამოცდილება ამ მიმართულებით. სამაგისტრო ნაშრომის სტუდენტის მიერ ხელახალ წარდგენასთან დაკავშირებით რეკომენდაცია მეორედებოდა საბაკალავრო პროგრამიდანაც, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლები ეთანხმებოდნენ ექსპერტების მოსაზრებას. ისინი ასევე

სრულად იზიარებდნენ ექსპერტების მიერ წარდგენილ მეოთხე რეკომენდაციას. მეშვიდე რეკომენდაციის შესახებ, რომელიც ფინანსური ანალიზის წინაპირობას შეეხებოდა, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი იზიარებდნენ რეკომენდაციას და ადგილი ჰქონდა ტექნიკური ხასიათის შეცდომას რაც გამოსწორდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა წაიკითხა მეხუთე რეკომენდაცია და განაცხადა რომ ფინანსური ანგარიშგება იყო არჩევითი კურსი. ამ საგანში მოიაზრებოდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველადი გამოყენების საკითხები. დეტალურად შეისწავლებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება, თუმცა რადგანაც სწავლის შედეგების მისაღწევად სტანდარტი მოითხოვდა დეტალურ ჩამოლას საკითხებისას, ვინაიდან ის სახელმძღვანელო რომელიც გამოიყენებოდა ითვალისწინებდა ყველა მოცემულ საკითხს, დაწესებულებაც სტუდენტებს აცნობდა ამ საკითხებს, თუმცა რადგანაც რეკომენდაცია დაისვა, შესაძლებელი იყო მოცემული საკითხების სილაბუსში გათვალისწინებაც. ის ასევე ითვალისწინებდა პრაქტიკის წინაპირობად არა სემესტრების, არამედ დაგროვებული კრედიტების განსაზღვრას.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა, თუ სტუდენტები მუშაობდნენ, რატომ იყო პრაქტიკა ცალკე და რატომ არ ხდებოდა პრაქტიკაში სტუდენტების სამუშაო გამოცდილების ჩართვა.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ აღნიშნა რომ პრობლემა ის იყო რომ ზოგიერთი სტუდენტი არ მუშაობდა პროფესიით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მეთერთმეტე რეკომენდაციაზე, რომელიც რეფერატების გამოყენებას შეეხებოდა შეფასებისას განაცხადა, რომ ნახსენები არ იყო სიტყვა რეფერატი, თუმცა იყენებდნენ პრეზენტაციებს რაც მოიაზრებდა რეფერატის მომზადებასაც, თუმცა გათვალისწინებული იქნებოდა შენიშვნა და მოხდებოდა ჩასწორება. რაც შეეხებოდა შემდეგ რეკომენდაციას ლიტერატურის შესახებ, აღინიშნა, რომ იგულისხმებოდა ვანჰორნის სახელმძღვანელო, სადაც მოცემული იყო ისეთი ქეისები საგადასახადო თუ საბაჟო კუთხით, რომელიც ყველაზე მეტად იყო ადეკვატური. თუმცა, რეკომენდაციის გათვალისწინება მოხდა და ფინანსური მენეჯმენტის სილაბუსში შევიდა 2015 წლის ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო, საქმიან კომუნიკაციებში სავალდებულო ლიტერატურას დაემატა 2018 წლის სახელმძღვანელო, რომელიც უკვე შეძენილი იყო და განთავსებული იყო დაწესებულების საბიბლიოთეკო ფონდში. პროექტების მენეჯმენტს კი დაემატა 2016 წლის სახელმძღვანელო. რაც შეეხებოდა დამსაქმებლების ჩართულობას, წარმომადგენელმა განაცხადა რომ ამ კუთხით მოცემულ პროგრამაზე პრობლემა არ არსებობდა, დაწესებულებას ჩატარებული ჰქონდა ბაზრის კვლევა, გამოკვლეული იქნა 300 სუბიექტი. დამსაქმებლების ჩართულობა სახეზე იყო არამხოლოდ პროგრამაში, არამედ სილაბუსების ფორმირების პროცესშიც. ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით პასუხი იყო იგივე, რაც საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, ამიტომ ამაზე ყურადღებას აღარ გაამახვილებდა.

სიტყვა ითხოვა დაწესებულების წარმომადგენელმა, რომელიც ასწავლიდა სტატისტიკა I და II -ს.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ აღნიშნული საგნები მან ვერ ნახა აღნიშნულ პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტატისტიკა I და II ისწავლებოდა საბაკალავრო პროგრამაზე.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ საჭირო იყო სტატისტიკის გაძლიერება სამაგისტრო დონეზეც, მითუმეტეს თუ ამის რესურსი არსებობდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მაგისტრატურაში სტატისტიკა საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით ისწავლებოდა და ამიტომაც ეს ნაწილი საკმაოდ ძლიერად იყო წარმოდგენილი. მან სიტყვა ითხოვა რათა ყურადღება გაემახვილებინა კვლავაც კვლევის კომპონენტების გაძლიერების მიზნით დაწესებულების მიერ გატარებულ ღონისძიებებზე. მაგისტრატურის სტუდენტებს, მას შემდეგ რაც ისინი წარმომადგენენ ბიზნეს გეგმებს მიეცემოდათ ნულოვანი საპროცენტო განაკვეთის სესხები.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა, რა პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა სტუდენტს თუ ის თანხას არ დააბრუნებდა. თუ ეს პროექტები მოგებაზე არ იქნებოდა ორიენტირებული მაშინ მათ განხორციელებას აზრი უბრალოდ არ ექნებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამით დაწესებულება ცდილობდა სტუდენტების დახმარებას. დაწესებულების გარანტია იყო დიპლომი, რომელიც სტუდენტს უნდა აეღო, შესაბამისად ის იძულებული იქნებოდა დაებრუნებინა მიღებული თანხა.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, რა უფლების საფუძველზე არ მისცემდა დაწესებულება დიპლომს სტუდენტს, თუ ის თანხას ვერ დააბრუნებდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო სტუდენტს პრობლემა შეექმნოდა პროექტის განხორციელებისას და ვერ დაებრუნებინა თანხა. ამას მისთვის დიპლომის მიღებაში ხელი არ უნდა შეემაღლა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ერთი ან ორი სტუდენტის მსგავსი შემთხვევა დაწესებულებას ფინანსურ პრობლემებს ვერ შეუქმნიდა. პროგრამაზე დასაქმებულები იყვნენ სახელმწიფო გრანტის მქონე პედაგოგები. ასევე DAAD-ის სტიპენდიანტები.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ მისი აზრით სტატისტიკის ასახვა სამაგისტრო დნეზე მეტად უნდა მომხდარიყო. რაც შეეხებოდა კურსებს, მისი აზრით აუცილებელი იყო ოპერაციათა მენეჯმენტის სწავლება რადგან ბიზნესის ნებისმიერ სფეროში ეს საკითხები გამოსადეგი იყო. რაც შეეხებოდა ფინანსურ ანგარიშგებას, მისი აზრით ეს საგანი არ უნდა ყოფილიყო არჩევითი, რადგან პროგრამას საბაკალავრო განათლების კუთხით შეზღუდვა არ ჰქონდა, ამიტომ შესაძლებელია პროგრამაზე მისულიყო პირობითად ფილოლოგი, რომელიც სურვილის შემთხვევაში არ აირჩევდა საგანს და პროგრამას ისე დაასრულებდა, რომ ფინანსური ანგარიშგება გავლილი არ ექნებოდა. ასევე აუცილებელი იყო მენეჯერული აღრიცხვის სწავლება, რადგან ამ ცოდნის გარეშე ის დარგში კომპეტენტური ვერ იქნებოდა. მენეჯმენტს აკლდა ლიდერობის კუთხით სწავლებაც, რისი ჩასმაც პროგრამაში ასევე სასარგებლო იქნებოდა. კვლევითი კომპონენტის გაძლიერებისათვის ასევე რელევანტური იქნებოდა თუ სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომს დაწერდა იმ სფეროს შესახებ სადაც ის დასაქმებული იყო. საბოლოო ჯამში შეიძლებოდა თქმულიყო რომ საბაკალავრო საფეხურზე პროგრამა უფრო დახვეწილი იყო ვიდრე სამაგისტროზე. მან ასევე დაამატა, რომ მენეჯერისთვის ინფორმაციული სისტემების სწავლება ასევე დადებითი იქნებოდა. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა რომ მომავალი განვითარების პერსპექტივაში ესეც გათვალისწინებული იქნებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რადგანაც ფიგურირებდა პროგრამაში დასწრების ქულა, განემარტა, რომ დასწრების ქულა არასოდეს იყო შეფასების საგანი. უნდა შეფასებულიყო აქტივობა და არა დასწრება.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა რომ რადგანაც გაიცემოდა MBA კვალიფიკაცია, როდესაც დამსაქმებელი ნახავდა ამ კვალიფიკაციას მას უნდა ჰქონოდა წარმოდგენა რა უნარებს ატარებდა კურსდამთავრებული, რადგან რეალურად არავინ

დაიწყებდა იმის გარკვევას რომელი საგნები ჰქონდა გავლილი სტუდენტს. ლექტორი თავისუფალი შეიძლება ყოფილიყო სწავლების მეთოდებში და არა იმაში რას ასწავლიდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მაგისტრებთან შეხვედრის დროს ექსპერტები დარწმუნდნენ იმაში რომ მათ ჰქონდათ გამომუშავებული შესაბამისი უნარები.

ექსპერტმა დაადასტურა განაცხადა, რომ მაგისტრები მუშაობდნენ პროფესიით.

20:03 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 20:16 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 10

წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22 მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის 3^ე პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27^ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სავალდებულო და არჩევითი საგნების მოყვანა სპეციალობის კვალიფიკაციის შესაბამისობაში;
2. სავალდებულოა გარკვეული საგნების შინაარსის და თემატიკის გადახედვა;
3. აუცილებელია სხვადასხვა ტერმინოლოგიური ხარვეზების გასწორება. მაგალითად: ტენდენციური ანალიზი გასწორდეს ტენდენციის ანალიზით და ა.შ;
4. აუცილებელია გარკვეული საგნების დამატება სპეციალობის კვალიფიკაციიდან გამომდინარე;
5. რეკომენდირებულია პროგრამაში სტატისტიკის სწავლების გაძლიერება;
6. აუცილებელია სტუდენტის პრაქტიკის შეფასების დარეგულირება.

4. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფინანსები და საბანკო საქმე
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფინანსებში 0204
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	241

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა აქცენტი გაკეთებულიყო პროგრამის შინაარსობრივ მხარეზე, რადგანაც საბჭომ დაწესებულება უკვე გაიცნო და ის რაც სისტემურ პრობლემებს წარმოადგენდა საერთო იყო ყველა პროგრამისათვის.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ის ყურადღებას იმ რეკომენდაციებზე გაამახვილებდა რაც უშუალოდ ეხებოდა მოცემულ პროგრამას და არ ფიქსირდებოდა სხვა, განხილულ პროგრამებზე.

- რეკომენდებული იყო უნივერსიტეტს შეემუშაებინა პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმი, სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობდა „ფინანსები და საბანკო საქმე“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ნაკადის მოზიდვას; ექსპერტმა განაცხადა, რომ აქ იგულისხმებოდა, რომ პროგრამამ 2011 წელს მიიღო აკრედიტაცია, თუმცა მიღების გამოცხადება მოხდა ერთხელ, მიიღეს 5 სტუდენტი რომლებმაც შემდგომში მობილობით ისარგებლეს სხვა პროგრამაზე და ამის შემდგომ მიღება არ გამოცხადებულა. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული საკითხი დაუკავშირა მდგრადობის საკითხს და შემუშავდა აღნიშნული რეკომენდაცია.
- რეკომენდებული იყო „ფინანსების და საბანკო საქმის“ პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო კომპონენტად განსაზღვრული 5 კრედიტიანი პრაქტიკის კომპონენტი,

მისი მიზნებიდან, გამოყენებული სწავლებისა და შეფასების მეთოდებიდან და მისაღწევი სწავლის შედეგებიდან გამომდინარე გაზრდილიყო 10 კრედიტამდე; ექსპერტმა განმარტა, რომ საგნის დატვირთვიდან გამომდინარე 10 კრედიტი მეტად მისაღები იქნებოდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ყველა სხვა რეკომენდაცია მეორედებოდა წინა პროგრამებიდან. აღნიშნულ პროგრამას ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამასთან სხვაობა ჰქონდა მხოლოდ 25 კრედიტში ფინანსების მიმართულებით სავალდებულო საგნების ხარჯზე. ექსპერტმა ჯგუფი თვლიდა რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დეტალურად უნდა შეესწავლა სტუდენტების მობილობის მიზეზები პროგრამიდან და ზოგადად პროგრამის არსებობის ან არარსებობის საკითხიც.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სწორედ აღნიშნული საკითხი, რატომ არ მიდიოდნენ სტუდენტები პროგრამაზე და თუ მიდიოდნენ რატომ გადადიოდნენ ისინი სხვა პროგრამებზე.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არ იცოდა რამდენად დამაკმაყოფილებელი იქნებოდა საბჭოსათვის პასუხი, მაგრამ დაწესებულება ახორციელებდა სამივე საფეხურის პროგრამებს და მიღებას აცხადებდა მისთვის პრიორიტეტულ პროგრამებზე, რაც ბუნებრივია დამფუძნებლების უფლება იყო. მოცემულ პროგრამაზე მიღება გამოცხადდა 2017 წელს და ჩაირიცხა 5 სტუდენტი. დაწესებულება ყოველთვის აცნობდა სტუდენტებს პროგრამის სწავლების სტრატეგიებს, დასაქმების შესაძლებლობებს და სხვა. ნახსენები 5 სტუდენტი მოგვიანებით გადავიდა სხვა, პარალელურ პროგრამაზე- ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა. დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ ის ცალ-ცალკე შეხვდა მათ და სტუდენტებმა უთხრეს, რომ მათ ეს გადაწყვეტილება მიიღეს რადგან დაესწრნენ იმ საგნებს, რომლებიც მოცემული ორი პროგრამის სტუდენტებს ერთად უტარდებოდათ და რადგანაც პარალელური პროგრამამ მათში გამოიწვია ინტერესი და ამასთანავე მათ სურდათ ესწავლათ ერთად, მიიღეს გადაწყვეტილება ესარგებლათ შიდა მობილობით.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, მოყვავდა თუ არა მოქმედებაში პროგრამა დაწესებულებას 5 სტუდენტის გამო.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა რომ 5 სტუდენტის გამოც ამოქმედდებოდა პროგრამა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ იკითხა, რამდენ სტუდენტზე იყო მიღება გამოცხადებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამაზე იყო 30 ადგილი. დაწესებულებისათვის პროგრამა იყო მნიშვნელოვანი. უნივერსიტეტს განაცხადი ჰქონდა შეტანილი ავტორიზაციის მიზნითაც, სადაც ის ითხოვდა კვოტის გაზრდა. პროგრამის განვითარებაში ჩაიდებოდა აკადემიური რესურსი, მატერიალური და სხვა. ხოლო მომავალი წლიდან გამოცხადდებოდა მიღება.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა, რამდენი სტუდენტი ჩაირიცხა გასულ წელს ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა რომ გასულ წელს პროგრამაზე 32 სტუდენტი ჩაირიცხა.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, თუ მოცემულ პროგრამაზეც 30 სტუდენტი ჩაირიცხებოდა, საკმარისი იქნებოდა თუ არა აკადემიური რესურსი, რადგან როგორც ჩანდა უკვე განხილულ პროგრამასა და მოცემულ პროგრამას ერთი და იგივე პერსონალი ჰყავდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა ამ კუთხითაც განვითარდებოდა, გათვალისწინებული იქნებოდა რეკომენდაციები, დაწესებულება უკან ამაზეც არ დაიხევდა და მოიწვევდა პერსონალსაც, ამასთანავე თუ კვოტა გაიზრდებოდა ავტორიზაციის შედეგად რიგი პრობლემებისა მოიხსნებოდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის დროს შესწავლილი შრომის ბაზრის კვლევა აჩვენებდა რომ ფინანსებზე მოთხოვნა გამოკვეთილი იყო.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ იკითხა, რატომ იყო დარწმუნებული დაწესებულება, რომ თუ სტუდენტები ჩაირიცხებოდნენ პროგრამაზე, ისინიც არ მიიღებდნენ გადასვლის გადაწყვეტილებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამის დაზუსტებით თქმა შეუძლებელი იყო.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საჭირო იყო იმის ანალიზი თუ სტუდენტები მოცემული პროგრამიდან გადადიოდნენ, რატომ არ ივსებოდა ადგილები იგივე შიდა მობილობის ხარჯზე ამ პროგრამის მიმართულებითაც.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ მან სხვაობა ბიზნესის ადმინისტრირების და ფინანსების პროგრამას შორის კურსკულუმის კუთხით ვერ დაინახა. ამ პრობლემაში სტუდენტების მობილობასთან დაკავშირებით დაწესებულების ინტერესის გამორიცხვაც არ შეიძლებოდა.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ რიგი ხარვეზები იკვეთებოდა შინაარსობრივი კუთხითაც. საკმაოდ დიდი იყო დატვირთვა თავისუფალ კურსებზე. პროგრამა ზრდიდა სპეციალისტს, რომელიც გაივლიდა საბუღალტრო აღრიცხვას, საფინანსო აღრიცხვას და მმართველობითი აღიკვეთის არჩევას მიანდობდა სტუდენტის არჩევანს. მან იკითხა წარმოდგინა თუ არა დაწესებულებას მმართველობითი აღრიცხვის უნარების გარეშე სპეციალისტის უნარის ჩამოყალიბება. ანალოგიური შეიძლებოდა თქმულიყო აუდიტის საფუძვლებზე, რომელიც ასევე არჩევითი იყო. რიგი საგნები გაწერილი იყო ორ ნაწილად. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ დაწესებულება ცდილობდა საგნების სიუხვის განცდის შექმნას მათი ფრაქციონირების ხარჯზე. მან თქვა რომ მისი აზრით ქართული საბანკო სისტემის მასახიათებლების შესახებ ცოდნა ასევე საჭირო იქნებოდა სტუდენტებისათვის. მისი ხედვა იყო რომ მომხდარიყო კურსების ოპტიმიზაცია. ამასთანავე, უკვე ითქვა რომ ფაქტობრივად არ იგრძნობოდა სხვაობა ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამასთან. პროგრამა არამდგრადობით ხასიათდებოდა ამ მიმართულებით და შესაძლოა ეს ერთ-ერთი მიზეზიც ყოფილიყო იმისა, რატომაც ტოვებდნენ მას სტუდენტები.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, რატომ არ იღებდა დაწესებულება ნახსენები ორი პროგრამის შერწყმის გადაწყვეტილებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას არ შეეძლო ესაუბრა პროგრამის არამდგრადობაზე, რადგან პროგრამას სტუდენტების მიღება გამოცხადებული არ ჰქონდა და ფაქტობრივად სტუდენტი არ ჰყოლია.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ის რომ პროგრამას სტუდენტი არ ჰყოლია ერთგვარი პოსტფაქტუმ ფაქტორი შეიძლებოდა ყოფილიყო პროგრამის არამდგრადობისა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ შესაძლოა შესაძლებელი გამხდარიყო გადასული სტუდენტების შენარჩუნება, მათთვის დაწესებულებას პროგრამის პერსპექტივა რომ დაენახებინა.

20:53 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 21:00 საათზე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

მომხრე -0
წინააღმდეგი - 10

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ა მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 27^ბ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

გადაწყვეტილების დასაბუთებისას საბჭომ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის სტანდარტის 1.3. კომპონენტი არ შეესაბამებოდა მოთხოვნებს. ერთ-ერთი მთავარი ხარვეზი იყო, პროგრამაში ფინანსური კომპონენტის გამლიერება.

სხდომა დასრულდა 21:05 საათზე.

თავმჯდომარე
ელიზბარ ელიზბარაშვილი

მდივანი
ნინო ჩანადირი

